#90/1759

## როგორია ზრდასრულთა განათლება საქართველოში?

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვალა ზრდასრულთა განათლების სისტემა. ძველი ორგანიზაციული სტრუქტურები, დაფინანსების მოდელები და ამოცანები, რომელთაც ზრდასრულთა განათლების საბჭოთა პროგრამები პასუხობდნენ, საკმაოდ ჩქარა გაქრა, ხოლო მათ ადგილზე ნელ-ნელა ახალი სტრუქტურები წარმოიშვა, რომლებიც ახალი დროის ადექვატური და სამიზნე ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული საგანმანთლებლო სერვისების შეთავაზებას ცდილობენ. შეიცვალა ზრდასრულთა განათლების ამოცანებიც.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გარდამავალ პერიოდში აღმოჩენილი, სამოქალაქო ომგამოვლილი და სეპარატიზმთან დაპირისპირებული ქართული სახელმწიფო დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა რომ, სახელმწიფოს მხრიდან არ ყოფილა ამის პირდაპირი დეკლარირება, ზრდასრულთა განათლება ახალი ამოცანების გადაჭრის ვალდებულების წინაშე აღმოჩნდა. ტრადიციული, უწყვეტი პროფესიული განათლების პარალელურად ზრდასრულთა განათლებას ახალი პრიორიტეტები გაუჩნდა და მოტორის ფუნქცია, ამ შემთხვევაში, საერთაშორისო თანამეგობრობის /დონორების დახმარებით, უპირველესად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ითავეს.

სტრუქტურულმა ცვლილებებმა ეროვნულ ეკონომიკაში წარმოშვა მზარდი მოთხოვნა ზრდასრულთა პროფესიული გადამზადების მოკლევადიან პროგრამებზე. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ერთი მხრივ, განათლების კერძო პროვაიდერებისა, და მეორე მხრივ, საჯარო პროვაიდერების საშუალებით, განთლებისა და მეცნირებისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროები ცდილობენ.

ბოლოს, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზრდასრულთა განათლებაზე მოთხოვნის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობენ დამსაქმებლები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თანამშრომელთა კვალიფიკაციის ზრდითა და მათ უწყვეტ განათლებაში ჩართულობით.

### *ჩვენი პროექტი:*
### *„იცოდი? გაიგე და ჩვენთან ერთად იმოქმედე!“*

განხორციელდება სასწავლო საინფორმაციო ცენტრის „ქართლი XXI" მიერ. პროექტი წარმოადგენს ზრდასრულთა განათლების შესახებ მუნიციპალიტეტებზე „საინფორმაციო შტურმის" მოდელს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მაგალითზე.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებისა და მისი შესაბამისი სამსახურების ინფორმირება

ზრდასრულთა სათემო განათლების შესახებ საქართველოსა და ხაშურში. პროექტი ასევე ითვალისწინებს პრეზენტაციებს ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.

დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 17-დან 24 წლამდე ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდების სრული ინფორმირება მათთვის არაფორმალური განათლების მიღების სხვადასხვა შესაძლებლობებსა და ტრენინგ-კურსებზე. პროექტით გათვალისწინებულია საინფორმაციო შეხვედრები, პუბლიკაციები და სატელევიზიო სიუჟეტების გავრცელება ადგილობრივი მასმედიის მეშვეობით. პროექტის დასასრულს მოეწყობა გასვლითი საინფორმაციო შეხვედრები ორ მეზობელ, ქარელისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებთან.

პროექტის მიზანია მუნიციპალიტეტის აქტიური ჩართვა ზრდასრულთა სათემო განათლების მიმართულებით მიმდინარე საქმიანობებში, მათი ცნობიერების ამაღლება და ლობირება. ვფიქრობთ, ამ მოდელის საფუძველზე ხელმისაწვდომი გახდება დეტალური ინფორმაცია ზრდასრულთა სათემო განათლების მნიშვნელობაზე თავად მუნიციპალიტეტების ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის, რათა შემდგომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის არაფორმალური განათლების ორგანიზებაში სხვადასხვა მიმართულებით.

ასევე პირველად იქნებიან ინფორმირებულნი მუნიციპალიტეტის ზრდასრულები მათთვის არაფორმალური განათლების მიღების პრაქტიკულ შესაძლებლობებზე. პირველად დაითვლება და მოხდება ზრდასრულთა სტატისტიკური მონაცემების შეჯერება და ამ მიმართულებით ზუსტი საინფორმაციო ბაზის დამუშავება. ადგილობრივი სასწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებები აქტიურად ჩაერთვებიან პროექტში, რაც დადებითად იმოქმედებს ზრდასრულთა განათლების პროგრამების დახვეწასა და სრულყოფაზე.

პირველად სამთავრობო, არასამთავრობო და მასმედიის სექტორების ერთიანი ძალისხმევა ზრდასრულთა განათლების დანერგვის პროპაგანდის შესახებ რეალური შედეგების მომტანი იქნება მუნიციპალიტეტისათვის და უმთავრესად თავად მუნიციპალიტეტის ზრდასრულებისათვის.

---

სასწავლო საინფორმაციო ცენტრი “ქართლი XXI” აქტიურად ზრუნავს ზრდასრულთა განათლებაზე.

შემოდგომით იგეგმება ტრენინგ-კურსის,
“პიროვნული განვითარების კურსი
ახალგაზრდებისათვის,” მეორე ეტაპი !!!
დაგვიკავშირდით!
მოგვწერეთ!
ვითანამშრომლოთ!


ჩვენი მისამართია:
ხაშური, ტაბიძის ქუჩა #11, I სადარბაზო, I სართული, ბინა #1

ინფორმაციისათვის დარეკეთ:
4 38 58; 899 551714; 898 127225;



სასწავლო საინფორმაციო ცენტრი “ქართლი XXI”


ეროვნული ბიბლიოთეკა

AEAG
dvv international
Institut für Internationale Zusammenarbeit des Deutschen Volkshochschul-Verbandes

სასწავლო-საინფორმაციო ცენტრი
ქართლი XXI · Kartli XXI
Education-Information Center

პროექტი:
„ინოვაცია ზრდასრულთა განათლებაში“

* * *

„იცოდი? გაიგე და ჩვენთან ერთად იმოქმედე!“

(“საინფორმაციო შტურმის” მოდელი
ადგილობრივ მუნიციპალიტეტებზე
ზრდასრულთა განათლების შესახებ
ხაშურის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)

ხაშური
2010 წელი

## პროექტის შესახებ

ზრდასრულთა განათლების პროგრამას საქართველოში ახორციელებს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია და ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი(CTC) გერმანული ორგანიზაციის EED-ს დაფინანსებით. პროგრამის ფარგლებში, მთელს საქართველოში, ზრდასრულთა განათლების პროექტის განსახორციელებლად შეირჩა სხვადასხვა რეგიონის ათი ორგანიზაცია, მათ შორის ხაშურის არასამთავრობო ორგანიზაცია, სასწავლო საინფორმაციო ცენტრი "ქართლი XXI". ერთობლივი თანამშრომლობის საფუძველეზე შემუშავდა ტრენინგ-პროგრამა: "პიროვნული განვითარების კურსი ახალგაზრდებისათვის", რომლის ფარგლებში ორი ტრენინგის ჩატარება იყო დაგეგმილი ჩვენს მუნიციპალიტეტშიც; კურსის პირველი, საპილოტე ტრენინგი წარმატებით განხორციელდა გაზაფხულზე. მეორე ეტაპის წარმართვა იგეგმება შემოდგომით.

სასწავლო-საინფორმაციო ცენტრი "ქართლი XXI" გახდა ზრდასრულთა განათლების ასოციაციისა და ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრის(CTC) მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის გამარჯვებული. პროექტის უმთავრესი მიზანია, ხაშურისა და მისი მეზობელი მუნციპალიტეტების(ქარელი, ბორჯომი) ინფორმირება ზრდასრულთა განათლების შესახებ. პროექტი ითვალისწინებს ადგილობრივი მთავრობის აქტიურ ჩართვას ზრდასრულთა საგანმანთლებლო კურსის განხორციელებაში.

## რატომ ზრდასრულთა განათლება?

ყოველწლიურად ათასობით ბავშვი (დააახლოებით 20 000 - 25 000) სკოლის დამთავრების შემდეგ ვერ ან არ აგრძელებს სწავლას განათლების შემდეგ საფეხურზე. უმაღლესი განათლების სისტემაში დაწესდა ქვოტები და შემცირდა სტუდენტების რაოდენობა; ასევე საკმაოდ შეზღუდულია პროფესიული თუ სახელობო სკოლების რაოდენობა და შესაბამისი სახელმწიფო დაფინანსებაც. ეს ფაქტორები განაპირობებს, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდების დიდი ნაწილი რჩება შემდგომი ფორმალური განათლების სისტემის გარეთ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიც ხშირად ვერ უზრუნველყოფენ მოსწავლეთათვის ისეთი პროგრამებისა და სასწავლო გარემოს შექმნას, რომელიც ბავშვებს დაეხმარება შეიძინონ ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც გადამწყვეტია დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების, გარემოსთან ადაპტირებისა და საკუთარი თავის დამკვიდრებისათვის. ჩვენს მუნიციპალიტეტში ასეთი კატეგორიის ახლაგზარდა ყოველწლიურად 700-მდეა.

ამდენად, არსებობს საჭიროება ასეთ ახალგარზდებს გავუწიოთ დახმარება დამატებითი სასწავლო კურსების გზით. პროგრამის მიზანია დამატებითი სწავლების კურსის შემუშავება და არაფორმალური განათლების სისტემაში მისი დანერგვის ხელშეწყობა.

XXI საუკუნეში წარმატება ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია. ცოდნის მისაღებად და წარმატების მისაღწევად თანამედროვე მოქალაქე უნდა ფლობდეს პიროვნული განვითარებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს. ევროპარლამენტმა და ევროპულმა საბჭომ მიიღო ჩარჩო ხელშეკრულება "საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის", რომელშიც მოცემულია ინფორმაცია თუ რა ძირითად უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს თანამედროვე მოქალაქე, მიუხედვად იმისა, საშუალო განათლების მიღების შემდეგ აგრძელებს თუ არა სწავლას განათლების შემდგომ საფეხურებზე; ეს კომპეტენციებია: ანალიტიკური უნარი, დამოუკიდებლად სწავლის უნარი, მეწარმეობის საფუძვლები, კომუნიკაციის უნარი. ამ კომპეტენციების დაუფლებით მოქალაქე შეძლებს პიროვნულ განვითარებასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციას;

## რას ნიშნავს ზრდასრულთა განათლება და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფცია?

ზრდასრულთა განათლება განიხილება, როგორც საბაზისო ასაკს მიღწეულ პირთა განათლება. ამ ასაკის ზრდასრულად საქართველოში მიიჩნევა 15 წელს მიღწეული პიროვნება, რომელსაც სკოლის შემდგომ შეუძლია სწავლა განაგრძოს სხვადასხვა სახელობო თუ პროფესიულ სასწავლებელში. ზრდასრულთა განათლება გულისხმობს იმ შესაძლებლობებს, რაც არაფორმალური სწავლებით არის შესაძლებელი. არაფორმალური განათლება შეიძლება მიიღოს ნებისმიერმა პირმა, იქნება ეს სხვადასხვა არაფორმალურ ტრენინგ-კურსებზე დასწრება თუ თვითგანათლება. თვითგანათლება მოიაზრება როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფცია. მნიშვნელოვანია, ადამიანებმა გააცნობიერონ, რომ სკოლის დასრულების შემდეგ არ მთავრდება სწავლა. სწორედ ამ დროიდან იწყებს ადამაინი საკუთარი ცხოვრების ფორმირებასა და მოწყობას, დასაქმებას, რაც მას საკუთარი ადგილის დამკვიდრებაში უწყობს ხელს, რისთვისაც აუცილებელია საზოგადოებასთან ინტეგრაცია და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება. "სწავლა სიბერემდეო" ამბობს ბრძნული ქართული ანდაზა და სწორედ მას ესადაგება განათლების უახლესი პრინციპი- "სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე". 9 კლასის დასრულების შემდეგ, რომელიც კონსტიტუციურად სავალდებულოა, თითოეული ზრდასრული არჩევანის წინაშე დგება:

1. შეუძლია სწავლა განაგრძოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და 12 კლასის დასრულების შემდეგ მიიღოს, ზოგადი, საშუალო განათლების ატესტატი, რომელიც გზას უხსნის პროფესიული თუ აკადამიური უმაღლესი სასწავლებლისკენ;
2. ახალი კანონმდებლობის მიხედვით, სკოლაში სწავლის პარალელურად შესაძლებელია სახელობო განათლების დაუფლება. ასეთ შემთხვევაში, 12 კლასის დასრულების შემდეგ, ერთდროულად მიიღებს ხელობის დამადასტურებელ სერტიფიკატსა და ზოგადი საშუალო განათლების ატესტატს.
3. ზოგადი, საბაზო განათლების(9 კლასის) დასრულების შემდეგ შეუძლია შეწყვიტოს სწავლა ზოგადსაგანმანთლებლო სკოლაში, სასწავლებლად გადავიდეს პროფესიული სწავლების ცენტრში და დაეუფლოს სასურველ ხელობას. სახელობო განათლება და პროფესიული კვალიფიკაცია სწრაფი დასაქმების საშუალებას მისცემს ზრდასრულებს. თუ მიღებული სახელობო განათლება იმ დარგობრივ სფეროს შეესაბამება, რომელსაც აირჩევენ უმაღლეს სასწავლებელში განათლების მისაღებად, ან მათი პროფესიონალიზმის საწინდარი შეიძლება გახდეს, რადგან პრაქტიკულად იქნებიან მზად ამ სფეროში საქმიანობისათვის. პროფესიული განათლების მნიშვნელობის საყოველთაო აღიარება დაკავშირებულია ტექნოლოგიურ ცვლილებებთან და დასაქმების შესაძლებლობების ამაღლებასთან;

ამ კონტექსტში განიხილება მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის კონცეფცია, როგორც საუკეთესო გზა იმისთვის, რომ ადამიანებმა შეძლონ მუდმივად სიახლის სწავლა, საკუთარი შესაძლებლობების გაუმჯობესება და წარმატების მიღწევა. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა, ნებისმიერი ასაკის ზრდასრულ ადამიანებს აძლევს ამგვარ შესაძლებლობებს.

## რატომ არის მნიშვნელოვანი ზრდასრულთა პიროვნული განვითარების კურსი?

ზრდასრულთა განათლების ასოციაციის და ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრის(CTC) მიერ პროგრამის ფარგლებში, მთელს საქართველოში, ზრდასრულთა განათლების პროექტის განსახორციელებლად შერჩეულ სხვადსხვა რეგიონის ათ ორგანიზაციასთან ერთობლივი თანამშრომლობის საფუძვლეზე შემუშავდა ტრენინგ-პროგრამა: "პიროვნული განვითარების კურსი ახალგაზრდებისათვის". კურსი ეფუძნება ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციებით შექმნილ ჩარჩო ხელშეკრულებას "საკავანძო კომპეტენციები მთელი სისცოცხლის მანძილზე სწავლისათვის. დოკუმენტი განსაზღვრავს საკვანძო კომპეტენციების რვა სახეობას: 1. მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; 2. უცხო ენაზე კომუნიკაცია; 3. მათემატიკური უნარ-ჩვევები და საბაზისო კომპეტენციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში. 4. ციფრული კომპტენცია; 5. დამოუკიდებლად სწავლის უნარი; 6. პიროვნებათაშორისი და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; 7. მეწარმეობა; 8. კულტურული გამომხატველობა; ინფორმაციულ საზოგადოებასა და სწრაფად ცვალებად გარემოში წარმატებული ცხოვრებისა და დასაქმებისათვის ყოველი მოქალაქე უნდა ფლობდეს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის საჭირო საბაზისო უნარ-ჩვევებს. საბაზისო უნარ-ჩვევები, იგივე საკვანძო კომპტენციები, განისაზღვრება, როგორც იმ ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულების კომბინაცია, რომელიც ხელს უწყობს პიროვნულ სრულყოფას, სოციალურ ჩართულობას, აქტიურ მოქალაქეობასა და დასაქმებას. სწორედ ამ კომპეტენციების აუცილებლობიდან გამომდინარე შეიქმნა "პიროვნული განვითარების კურსი". ტრენინგ-კურსის მიზანია, მონაწილე ახალგაზრდებმა გაიღრმაონ რიგი საკვანძო კომპეტენციები, შეიძინონ საკუთარი ცხოვრების დაგეგმვის უნარი და გახდნენ მეტად თავდაჯერებულები. მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე უკეთ მოახერხონ გარემოსთან ადაპტირება და გაეზარდოთ დასაქმების/თვითდასაქმების შესაძლებლობები.